ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ N10.36/10/120 (1/18-1095)

ქ. თბილისი 17 ოქტომბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის - დავით კირკიტაძის სახით და, მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი" ს/ კ 206267494 (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსის ზურაბ გვენცაძის სახით (ბრძანება N01953. 30/09/2015), საქართველოში მოქმედი კანონების და საწარმოს დებულების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობაში შენახული ქ. თბილისის „დიდგორის" და „ძველი თბილისის" რაიონის გამგეობების 2007-2013 წლების დოკუმენტებიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის" საფუძველზე მთაწმინდის რაიონის გამგეობის საექსპერტო კომისიის (ოქმი №2; 20.09.2018წ.) და ქ. თბილისის ცენტრალური არქივის საექსპერტო კომისიის (ოქმი№7; 11.09.2018წ.) მიერ დამტკიცებული განადგურებას დაქვემდებარებული, 2010-2012 წლების დოკუმენტაციის (წონით - 1 ტ) საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განადგურება-დამარხვის მომსახურება.

1.2 შესყიდვის საშუალება – **გამარტივებული შესყიდვა**.

1.3 კლასიფიკატორის კოდი - **90513000.**

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს შემსყიდველს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიტანიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 შემსყიდველისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია:

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

3.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

3.4.1 მოითხოვოს მიმწოდებლისგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს მიმწოდებლისგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 1 ტონა პროდუქციის განადგურება-გაუვნებელყოფის მომსახურების ღირებულება შეადგენს 23.26 (ოცდასამი ლარი 26 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. თუ დადგინდება, რომ გასანადგურებელი-გაუვნებელყოფას დაქვემდებარებული საქონლის წონა შეადგენს 1 ტონაზე ნაკლებს, შემსყიდველი იხდის 1 ტონის მომსახურების საფასურს.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეები ადგენენ სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, რაც ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მაია ბიწაძე.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

6.1 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან

მუხლი 8. საბანკო რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფი”
მის: ქ. თბილისი, კახეთის
გზატკეცილი №67
საიდ. კოდი: 206267494
ს.ს "ლიბერთი ბანკი" ცენტრალური
ფილიალი, ბანკის კოდი: LBRTGE22
ა.ა. № GE90LB0113172770216000

„შემსყიდველი“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მთაწმინდის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 204521954
მის: ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48.
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“

საყოფაცხოვრებო ნარჩენების
მართვის სამსახურის უფროსი

ზურაბ გვენცაძე

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთაწმინდის რაიონის გამგეობა“

გამგებელი

დავით ფერკიტაძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი 17 ოქტომბერი 2018 წ.

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა შპს „თბილსერვის ჯგუფი"-სთან ს/კ 206267494 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის 17 ოქტომბერს გაფორმებული N10.36/10/1120 ხელშეკრულების (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობაში შენახული ქ. თბილისის „დიდგორის" და „ძველი თბილისის" რაიონის გამგეობების 2007-2013 წლების დოკუმენტებიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის" საფუძველზე მთაწმინდის რაიონის გამგეობის საექსპერტო კომისიის (ოქმი №2; 20.09.2018წ.) და ქ. თბილისის ცენტრალური არქივის საექსპერტო კომისიის (ოქმი№7; 11.09.2018წ.) მიერ დამტკიცებული განადგურებას დაქვემდებარებული, 2010-2012 წლების დოკუმენტაციის (წონით - 1 ტ) საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განადგურება-დამარხვის მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვის შერჩევის პროცედურასა და პირობების შესრულების კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი: დ.კირკიტაძე

თ. შაველაშვილი

დ.კასრაძე

ხ.შიუკაშვილი

მ. ბიწაძე